ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №20

21 დეკემბერი, 2021 წელი

საქართველო
ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის ოქმი № 20

ქ. ხონი 21 დეკემბერი, 2021 წელი

2021 წლის 21 დეკემბერს გაიმართა ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ვალერი ბახტაძე. ბიუროს 11 წევრიდან სხდომას ესწრებოდა: გელა ჩოგოვაძე, არჩილ საღარაძე, ზურაბ მიქაძე, ზაზა ვაშაკიძე, ზაზა რუხაძე, დემურ სულაბერიძე, კახა ფირცხალავა.

სხდომა დაიწყო 12:00 სთ.

სხდომა დასრულდა 13:00 სთ.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. **ხონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ.**
2. **ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოებისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.**
3. **ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ.**
4. **ხონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი: ხონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ. ბიუროს წევრებს გააცნო საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დემურ სულაბერიძემ. ბიუროს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყდა წარმოდგენილი პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი: ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოებისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ. ბიუროს წევრებს გააცნო საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დემურ სულაბერიძემ. ბიუროს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყდა წარმოდგენილი პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი: „ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ. ბიუროს წევრებს გააცნო ხონის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარემ ვალერი ბახტაძემ. ბიუროს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყდა წარმოდგენილი პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი: ხონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ. ბიუროს წევრებს გააცნო საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დემურ სულაბერიძემ, მან დეტალურად ისაუბრა ხონის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ და უპასუხა დეპუტატების მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყდა წარმოდგენილი პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ დაამტკიცა 2021 წლის 22 დეკემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის შემდეგი დღის წესრიგი:

1. **ხონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ.**
   მომხსენებელი: ამირან კინწურაშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი
2. **ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოებისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.**
   მომხსენებელი: დემური სულაბერიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე
3. **ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა)უფლებ ამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ.**
   მომხსენებელი: დემური სულაბერიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე
4. **ხონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.**
   მომხსენებელი: ლევანი ჩიხლაძე - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ვალერი ბახტაძე

სხდომის მდივანი: შორენა ჩანქსელიანი

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე წევრთა

გაფრთხილებისა და რეგისტრაციის ფურცელი

თარიღი 21.12.2015 საათი 12 სთ.

N	სახელი გვარი	ხელმოწერა
1	ვალერი ბახტაძე	
2	გელა ჩოგოვაძე	
3	კობა კუბლაშვილი	
4	არჩილ საღარაძე	
5	ზურაბ მიქაძე	
6	ზაზა ვაშაკიძე	
7	გურამ ბახტაძე	
8	ზაზა რუხაძე	
9	დემურ სულაბერიძე	
10	კახა ფირცხალავა	
11	ბესარიონ ჭელიძე	